

კონკრეტული გადახდის ოპერაციის შესახებ ინფორმაცია

1. გადამხდელისთვის წინასწარ მისაწოდებელი ინფორმაცია გადახდის ოპერაციის შესახებ

გადამხდელის მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია მიაწოდოს მას გადახდის ოპერაციის შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

- ა) საგადახდო მომსახურების განსახორციელებლად საჭირო მაქსიმალური დრო;
- ბ) მომხმარებლის მიერ პროვაიდერისთვის გადასახდელი ყველა სახის საკომისიო და მათი გამოთვლის პრინციპი, გარდა ფიქსირებული საკომისიოს;

2. გადამხდელისათვის მისაწოდებელი ინფორმაცია გადახდის ოპერაციის შესახებ

1. ბანკის მიერ გადახდის ოპერაციის თანხით გადამხდელის ანგარიშის ან ელექტრონული საფულის დადებების შემდეგ, ბანკმა გადამხდელს უნდა მიაწოდოს (გახადოს ხელმისაწვდომი) შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ა) გადახდის ოპერაციის (ტრანზაქციის) უნიკალური კოდი ან სხვა მონაცემების ერთობლიობა, რომელიც იძლევა ოპერაციის იდენტიფიკაციის (სხვა ოპერაციებისაგან გამორჩევის) საშუალებას;
- ბ) გადახდის ოპერაციის თანხა და ვალუტა, რომელშიც მოხდა საგადახდო დავალების შესრულება;
- გ) გადამხდელის მიერ ბანკისათვის გადასახდელი/გადახდილი ყველა საკომისიო;
- დ) თუ გადახდის ოპერაციის შესრულება დაკავშირებულია ვალუტის კონვერტაციასთან, მაშინ გადახდის ოპერაციის შესასრულებლად გამოყენებული ვალუტის გაცვლითი კურსი და კონვერტაციის შედეგად მიღებული თანხა და ვალუტა;
- ე) საგადახდო დავალების მიღების თარიღი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია კლიენტს მიეწოდება ან კლიენტისთვის არის ხელმისაწვდომი შეთანხმებული ფორმით, ისე რომ გადამხდელს საშუალება ჰქონდეს შეინახოს ან აღადგინოს ინფორმაცია უცვლელად.

3. მიმღებისთვის მისაწოდებელი ინფორმაცია გადახდის ოპერაციის შესახებ

1. მიმღების პროვაიდერმა, მიმღებს უნდა მიაწოდოს (გახადოს ხელმისაწვდომი) შემდეგი სახის ინფორმაცია გადახდის ოპერაციის შესახებ:

- ა) გადახდის ოპერაციის (ტრანზაქციის) უნიკალური კოდი ან სხვა მონაცემების ერთობლიობა, რომელიც იძლევა ოპერაციის იდენტიფიკაციის (სხვა ოპერაციებისაგან გამორჩევის) საშუალებას;
- ბ) გადახდის ოპერაციის თანხა იმ ვალუტაში, რომელშიც მოხდა მიმღების ანგარიშის დაკრედიტება;
- გ) მიმღების მიერ გადასახდელი ყველა სახის საკომისიო;
- დ) თუ გადახდის ოპერაციის შესრულება (ანგარიშზე ან ელექტრონულ საფულეზე ჩარიცხვა ან სხვა სახით მიმღებისთვის ხელმისაწვდომობა) დაკავშირებულია ვალუტის კონვერტაციასთან, მაშინ გადახდის ოპერაციის შესასრულებლად გამოყენებული ვალუტის გაცვლითი კურსი, რომლის საფუძველზეც მიმღების პროვაიდერმა მოახდინა თანხის კონვერტაცია და ასევე, კონვერტაციამდე არსებული თანხა და ვალუტა;
- ე) ანგარიშზე ან ელექტრონულ საფულეში ჩარიცხვის (დაკრედიტების) თარიღი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია მომხმარებელს მიეწოდება ან მომხმარებლისთვის არის ხელმისაწვდომი შეთანხმებული ფორმით, ისე რომ გადამხდელს საშუალება ჰქონდეს შეინახოს ან აღადგინოს ინფორმაცია უცვლელად.